საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტის

რექტორის ბრძანება № 01-04/47

ქ. ქუთაისი 11 აგვისტო 2017 წელი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენათა ცენტრში სახელშეკრულებო წესით მოსაწვევი პირების შესარჩევად კონკურსის გამოცხადების, საკონკურსო პირობების, კონკურსანტთა რეგისტრაციის ვადების, ადგილისა და კონკურსის დასრულების თარიღის განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელთა სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აგვისტოს №122 და №123 დადგენილებების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე არსებულ ენათა ცენტრში სახელშეკრულებო წესით მოსაწვევი პირების შესარჩევად კონკურსი დანართი 1 მიხედვით (თან ერთვის).
2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტეზე არსებულ ენათა ცენტრში სახელშეკრულებო წესით მოსაწვევი სპეციალისტების თანამდებობების დასაკავებლად საკონკურსო პირობები, კერძოდ, კონკურსანტის განცხადების ფორმა, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა, სარეგისტრაციო და საკონკურსო კომისიების მუშაობის წესი, კონკურსანტთა შეფასების კრიტერიუმები და სხვა კონკურსთან დაკავშირებული პირობები განსაზღვრულია სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელთა სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აგვისტოს № 122 დადგენილებით.
3. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ ფაკულტეტეზე არსებულ ენათა ცენტრში სახელშეკრულებო წესით მოსაწვევი პირების შესარჩევად კონკურსში მონაწილე პირებმა იხელმძღვანელონ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებელთა სამსახურში მიღების წესის დამტკიცების შესახებ წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 3 აგვისტოს № 122 დადგენილებებით.

4. კონკურსანტთა რეგისტრაცია, საკონკურსო დოკუმენტების მიღება დაიწყოს 2017 წლის 21 აგვისტოს 10.00 საათიდან და დასრულდეს 2017 წლის 27 აგვისტოს 18.00 საათზე. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს ყოველდღიურად (უქმე და დასვენების დღეების ჩათვლით) შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, თამარ მეფის ქუჩა №59, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსი, პირველი სართული, ოთახი #1107.
5. კონკურსი ჩატარდეს კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებებისა და ტესტირების ფორმით. საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს კონკურსანტს ჩაუტაროს გასაუბრება.
6. კონკურსანტთა საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასება მოხდეს 2017 წლის 28 აგვისტოდან 2017 წლის 01 სექტემბრის ჩათვლით.
7. კონკურსანტთა ტესტირება ჩატარდეს 2017 წლის 02 სექტემბერს, აწსუ პირველ კორპუსში, მეორე სართული, აუდიტორიებში #1208 და #1209, 14 სთ-ზე.
8. კონკურსის ტესტური ნაწილისგან თავისუფლდებიან ის კონკურსანტები, რომლებიც წარმოადგენენ უცხო ენების ცოდნის საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) C1 დონის შესაბამისი ენობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს.

	CAC	ILTS	IBT	CBT	PBT
საკონკურსო ტესტის მაქსიმალური შეფასება (100%)	X	7 ქულიდან ზემოთ (ბოლო 2 წელი)	110 ქულიდან ზემოთ (ბოლო 2 წელი)	270 ქულიდან ზემოთ (ბოლო 2 წელი)	637 ქულიდან ზემოთ (ბოლო 2 წელი)

9. გასაუბრება (ასეთი აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში) ჩატარდეს 2017 წლის 03 სექტემბერს.
10. კონკურსის შედეგები განისაზღვროს კონკურსანტთა შეფასებების რანჟირების საფუძველზე.
11. კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს 2017 წლის 03 სექტემბერს.
12. აპელაციის ვადად განისაზღვროს სამი დღე 2017 წლის 04 სექტემბრიდან 2017 წლის 06 სექტემბრის ჩათვლით.
13. კონკურსის საბოლოო შედეგები საკონკურსო კომისიამ უნივერსიტეტის რექტორს მიაწოდოს 2017 წლის 07 სექტემბერს.
14. ამ ბრძანებით განსაზღვრულ თანამდებობაზე კონკურსით შერჩეულ პირთან გაფორმდეს ვადიანი ხელშეკრულება ვადით - 2017 წლის 8 სექტემბრიდან 2020 წლის 1 სექტემბრამდე.
15. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით. ბრძანება გამოქვეყნდეს გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
16. უნივერსიტეტის კანცელარიამ უზრუნველყოს ამ ბრძანების საინფორმაციო დაფაზე განთავსება. უნივერსიტეტის მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურმა ეს ბრძანება განათავსოს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. გაზეთ „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“-ს რედაქციამ უზრუნველყოს ამ ბრძანების გამოქვეყნება გაზეთში „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
17. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი: **გიორგი ღავთაძე**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი AKAKI TSERETELI STATE UNIVERSITY ★ ქანცელარია CHANCELLARY